სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/170519/1

ქ. თბილისი **17 მაისი, 2019 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს "დელტა კონსალტინგი"** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის გიორგი ჯალიაშვილის სახით, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ლვოვის ქუჩა #72 ; ს/კ 401992162, ს.ს. "თიბისი ბანკი", კოდი #TBCBGE22, ა/ა # GE62TB 7438 7360 2010 0003 ტელ: 577 57 88 11

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანია სსიპ შემოსავლების სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის **(**48781000 - სისტემის მართვის პროგრამული პაკეტები) შესყიდვა.

საფუძველი: სსიპ შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის 2019 წლის 27 მარტის N 30969-21-13 და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის 2019 წლის 19 აპრილის N 41781-21-08 მოთხოვნები.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP190002200 თანხმობა.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია

1. IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზია, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 3 წლიანი ტექნიკური მხარდაჭერით (Subscription & Support).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **64 516.00 (სამოცდაოთხი ათას ხუთას თექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1.IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე, მიწოდებული IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. მიწოდების ვადები და პირობები

4.1. IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

4.2. IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიწოდება განხორციელდება ელექტრონულად, შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: license@rs.ge, g.murvanidze@rs.ge, s.odisharia@rs.ge.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2.იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზია შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიღებას ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო თუ IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზია არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული ლიცენზია.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიწოდებისას შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტ(ებ)ი.

5.5 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზია;

7.1.2.„შემსყიდველს“ მიაწოდოს IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზია, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3 სარგებლობაში გადასცეს შემსყიდველს **IBM MQ Advanced** პროგრამული უზურნველყოფის მუდმივმოქმედი ლიცენზია (300 ერთეული Processor Value Unit [PVU]).

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროგრამის ხარისხის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზიის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4 იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა, რომ IBM MQ Advanced მუდმივმოქმედი ლიცენზია არ შეესაბამება ხელშეკრულების განსაზღვრულ მოთხოვნებს, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“ სსიპ „შემოსავლების სამსახური”	„მიმწოდებელი“ შპს „დელტა კონსალტინგი“
REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.05.17 19:25:47 +04'00'	George Jaliashvili Digitally signed by George Jaliashvili Date: 2019.05.17 12:39:00 +04'00'
გიორგი გომარელი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**გიორგი ჯალიაშვილი** დირექტორი

.